



თბილისი

შენ ლალი ხარ, საქართველოს სილამაზე,
თბილისი და თბილი გულის ფეთქვა გქვია,
შენს ძებნაში საქართველოს ლაჟვარდ ცაზე
მზეს რამდენჯერ გზა და კვალი დაჰკარგვია.
საქართველოს დიდი დაფნის გვირგვინიდან
ათასი გზით მოწვევებული ფოთოლი ხარ,
მაგრამ მაინც, წაგლეჯილი მტრის პირიდან,
ქართველის გულს დღევანდლამდე მოჰყოლიხარ.
შენ კრწანისზე სამას გმირთა არაგველთა
დაწვევებული გულის სიმებს შეჰხებიხარ,
შენ თბილისი კი არა და, იმ ქართველთა
დაუმშრალი თბილი სისხლის წვეთები ხარ.
შენს კედლებთან ვინც თავს მტრისგან იმაღავდა,
მას დედის რძე მწარე შხამად შერგებია,
მტკვარს რომ ხედავ, ეს მთის წყალი კი არა და
ქართველების სისხლნარევი ცრემლებია.
გორგასალის უდრეკელი ფარი ხარ და
ხარ თამარის ღიმილივით დახატული,
ქართველების სალოცავი ხატი ხარ და
მზის ნათება ზურმუხტოვან გაზაფხულის,
შენს ძებნაში საქართველოს ლაჟვარდ ცაზე
მზეს რამდენჯერ გზა და კვალი დაჰკარგვია,
შენ თბილისი კი არა და, ჩემო კარგო,
ის მაოცებს, ნატვრისთვალი რად არ გქვია?!

* * *

ასე ხანმოკლე რომ მაქვს ცხოვრება —
ერთი დილა და ერთი საღამო,
ყველა როგორ სთქვას ნაზმა გრძნობებმა,
ჩემო მუზავ და ჩემო კალამო.



* * *

ლოცვა არ ვიცი მე ჯიხვის რქაზე,
ჩანგს შევავედრებ აწმყოს და მერმისს,
მე, ალბათ, ლექსი გამაკრავს ჯვარზე
და თუ აღმადგენს, კვლავ ძალა ლექსის.

ამოდულდი, მარგალიტო

საქართველოს სიყვარულით ამეტყველდი!
სხვას უმღერო, აგაჟღერე განა მიტომ?
ჩემო ქნარო, მასზე ხოტბით ახავერდდი
და გულიდან ამოდულდი, მარგალიტო.

მასზე ლოცვით გაიცვითე ყველა ლარი,
ხმა აპკურე ტკბილ შარბათად, დამთრობ ეშხად,
მასზე გქონდეს გაცვეთამღე საუბარი,
გაჩენილო ქართველ მგოსნის აზარფეშად.

საქართველოს სიყვარულით ახავერდდი,
მას უმღერე, რომ მგოსანი მასახელო,
რომ კრებულის ლექსით საესე ყველა გვერდის
სათაური იყოს მხოლოდ საქართველო.

იყოს მხოლოდ საქართველო და სხვა არა,
განა მისთვის აგაჟღერე, სხვა აღილო?
ხოტბა უთხარ, ამეტყველდი კვლავ ნარნარად
და გულიდან ამოდულდი, მარგალიტო.



სამართველო

კასპიის ზღვით წამოსული ქარავნებო,
მთებო, გზებო, ვიწრო, ფათერაკიანო,
გუბაზის და მითრიდატის ქალაქებო,
მეინვარწვერო, ზამთარ-ზაფხულ ჯანლიანო.
მომიყევით, ვით იბრძოდა საქართველო,
როს თელავდა მონღოლი და ლანგ-თემური,
ვით ბრწყინავდა შხის სხივებზე სასახელო
გორდა ხმალი, თვით შხესავით ანთებული.

აწ საიდან მოდენილა ეს ზღვა ხალხი,
რა უნდოდათ ამ პატარა წალკოტიდან,
რისთვის ეცვა ქართველ დედას მუდამ თალხი,
ხმალს რად ლესდნენ ქართველები ბალღობიდან.
სად შეჩერდა კიღობანი გარიყული,
როცა შთანთქა ნიაღვარმა მთა და მდელი,
სად დაირწა ის აკვანი, ვაზით წნული,
სად იშვა და დავაჟაკცდა საქართველო.

სამოჯლო

კვდებოდნენ იმისთვის, რომ უყვარდათ მამული
მიწას არ დათმობდნენ უომრად,
დგებოდნენ ნახმლევით მკერდგადაღარული,
ვერ გრძნობდნენ, ჭრილობა თუ ჰქონდათ.
კვდებოდნენ იმისთვის, რომ უყვარდათ მამული
და მარადი სიცოცხლე უნდოდათ.

თამარისეულ დროშას რომ გაშლიდნენ
ერთი მიდიოდა ასზე.
ათას სიცოცხლესაც სიკვდილზე გაცვლიდნენ,
დაცლიდნენ სიცოცხლის თასებს,
ოღონდ, საქართველო მრავალჟამიერ
ყოფილიყო სიცოცხლით საესე.



ათას სიყვარულსაც გაცვლიდნენ წმინდას,
ჩაიკლავდნენ გულის ფეთქებას,
ოღონდ, ვერ დასთმობდნენ საქართველოს მიწას,
მახვილს იმარხავდნენ მკერდთან,
კვდებოდნენ და ამბობდნენ მხოლოდ ერთ სიტყვას,
იმასაც სამშობლო ერქვა.

საქართველო გძვია სახელად

ამ სიყვარულს რომ არ უჩანს ბოლო,
სად გაგონილა გრძნობა ამხელა!
იქნებ იმისთვის მიყვარხარ მხოლოდ,
რომ „საქართველო“ გქვია სახელად.
ან თუ ფიქრობდა მშობელი მაშინ,
ჩემი სიცოცხლის კარს რომ აღებდა,
რომ ის პატარა, უღონო ბავშვი
დედაზე უფრო შეგიყვარებდა.
არც ნახიდურთან არ მიბრძოლია
და არც არაბი ვკაფე მოძალე,
არც თემურის წინ არ მითრთოლია
და არც მისვრია მისთვის ბოძალი.
შენი სახელი რაღად მათრთოლებს,
რომ არ გგოლივარ ჭირში მფარველად,
იქნებ იმისთვის გეტრფი მარტოდენ,
რომ „საქართველო“ გქვია სახელად.
საიდან გადიქეც სხივად ოცნების,
ღმერთი რომ არ მწამს, ქართულ მიწაზე
ფეხს რომ დაეადგამ, რად ვილოცები.
სხვას რომ უყვარხარ, რად ვგრძნობ სინანულს,
ასე მგონია, მხოლოდ ჩემი ხარ,
რა შეუძლია ამ ჩემს სიყვარულს,
მაგრამ სიცოცხლეს რად მირჩევნიხარ.
რაღად გამხდარა შენი სახელი
ჩემთვის მხესავით ცად ასატანი,
იქნებ იმისთვის, რომ შენს დიდებას



შეაკვდნენ ჩემი მამა-პაპანი.
და მეც არ ვიცი, ვფიცავ, არ ვიცი
ღმერთი ვიწამო? ხოდა, ღმერთი ხარ,
ხატი რად მინდა სხვა დასაფიცი,
როცა სიცოცხლეს შენ მირჩევნიხარ.
და ამ სიყვარულს რად უნდა ბოლო,
თუკი მაწამებს გრძნობა ამხელა,
დაე, იმისთვის მიყვარდე მხოლოდ,
რომ „საქართველო“ გქვია სახელად.

ჰეი, ლოთიუბო

ვიცი, ვერასდროს ჩამოიხსნით ლოდებს მხრებიდან,
თუმც შავი ღვინო თქვენს თვალებში შავ ფერს აბაცებს,
ჰეი, ლოთებო, ამოფორთხდით სარდაფებიდან,
შეხედეთ ქალაქს, როგორ ბარბაცებს.

აჩრდილებივით სარდაფებში უხიხართ ბოთლებს,
ამშრალეებთ ჭიქებს, საოცნებო თქვენი ალაგი.
ვერც კი შეამჩნევთ, როცა თქვენთან შემოაბოტებს
ლანდი ქალაქის.

და მხოლოდ ლანდი... ო, ეს ლანდიც თქვენთვის მოერაღია,
ტრიალებს ყველა, ყოველი და მთელი სამყარო,
დაუბრუნდებით ისევ ღვინოს... ორთქლის გაღიას,
რომ გულის შხამი ამ ღვინოსთან ერთად დაღვაროთ.

მაინც ვერასდროს ჩამოიხსნით ლოდებს მხრებიდან,
ვერ გაუსწორებთ ქალაქის ლანდს თვალებს აღმაცერს,
ჰეი, ლოთებო, ამოფორთხდით სარდაფებიდან,
შეხედეთ ქალაქს, არ დამთვრალა, მაინც ბარბაცებს.



აღა-მაჰმად-ხან...
ყიზილბაშები...
ღამით კივილი შეშინებულ მეციხოვნეთა,
შლეგი ფრუტუნი ცხენთა ლაშების,
მაჰმადის ლანდი, მოლასლასე სვეტიცხოველთან.

ნამგალა მთვარე
და ზღვა ვარსკვლავთა —
ქართლის ლურჯ ცაზე მოკამკამე ასე აზიზად,
აღა-მაჰმად-ხან...
ჯარი კარავთა
და ხმალდაკრული ჯვარი ვაზისა.

დედა თბილისი...
გმირის ცრემლები...
და მაჰმად-ხანის ოქროთ ნაყიდი ციხის კარები.
დედა თბილისი...
მტკვარი, გლოვით ანამღერები,
ანამღერები გლოვით ზარები.

მიწა ქართული...
სისხლის მეწყერი...
კრწანისის ველი და სიკვდილის რაშით ტარება...
არც ერთი სახლი დაუნგრეველი.
დოღბანდიანი საჭურისის ახარხარება.

დედა თბილისო!
ნათელო მზისა!
და შენც, ქართულო მიწავ, ასევე,
ქართლს გადახედე და, თუკი იცან,
არ გაოცდები, ასე ძვირად რად გაფასებენ.



დედაო ტკბილო, როგორც შენი ძუძუს თავები,
დედაო ნაზო, სიყვარულის უფროსო ფერია,
მანახე გული, სისხლის ცრემლით ნაიარები
და მე ამ გულზე ო, რა ცოტა დამიწერია.
გადამავიწყეს სიტყვა „დედა“, შენ ასე გსურდა?
გადამავიწყეს, მერე რისთვის, ასე იყო და
მე გული ბოლმით მეგსებოდა, ან რისთვის მშურდა,
როცა აკენიდან პაწაწინა „დედას“ იტყოდა.
დედაო ტკბილო, სალოცავო, საგალობელო,
ლექსში ყოველის შეიძლება განა ხსენება?
რა ძნელი იყო განშორებით, ჩემო მშობელო,
ცხრა წლის მანძილზე ეს ვაება და შეჩვენება.
და მიკვირს ეხლა, ცხრა წლის გულში ასე უღმერთოდ,
ამდენი ტანჯვა სად დაგუბდა, სად დაეცა,
რად იყო ყოფა — მეტყველება თვალთა უენოდ.
ჩემი ცხოვრება იყო დრამა და ტრაგედია.
არა, ბორკილებს, ჩემო კარგო, არ ატარებდი,
სამაგიეროდ, მოგონების საკირე გწავდა
და იგონებდი, იქ, მშობლიურ ლამაზ მხარეში,
ხუჭუჭთმიანი, პაწაწინა ბიჭუნა გყავდა.
ათასებს ყავდათ, ათასები მოიგონებდნენ
და ღამით, როცა ფაზარმაში მეფობდა ძილი,
ბაგის ცახცახით გულს ტიტინით მოიოხებდნენ,
ის — სახელმწიფოს მოღალატე დედა — და შვილი.
როგორ უნდოდათ მზის ნათელი დაგვიწყებოდა,
ამოხვალ მზეზე და სიცივით გაითოშები...
იქ, შენს საკანში ღამის ლანდი ისე წებოდა,
როგორც სიკვდილის დაძინილი შავი დროშები.

დედაო ნაზო, სიყვარულის უფროსო ფერია,
ამდენმა ტანჯვამ შენი სახე როგორ დაღარა,
წყეულმც იყოს, იმ წარსულის რაც დაგრჩენია,
ხომ დამიბრუნდი ციმბირივით თეთრი ჭაღარა.



ლამე მთიანში

ჩამსხვრეულიყო ხევი მთების უღრან უბეში,
დათვის დანატორ ბედაურის ხერხემალივით,
ვარსკვლავებს მთვარე გადაჰქონდათ ქერა ღრუბლებში
გულშეღონებულ, გატაცებულ თამარქალივით.
ბებერი მუხა რძისფერ ჯანდით გაღეშილიყო
და ქარტეხილზე ბარბაცებდა მთვრალი დევივით,
გიჟი ჩანჩქერი ნაპრალებზე ჩამოშლილიყო,
ზღაპრული აღის აღმოდებულ ნაწნავებივით.

მაღლა ვარსკვლავნი კიაფობდნენ ათასფერადად,
მუქ ლურჯ ზეწარზე ოქროს ზოლად გადაღვრილები,
თითქოს მეომრებს ნაბადები გადაეყარათ,
ისე ეყარნენ მთვარის შუქზე მთების ჩრდილები...
და იყო ღამე საოცარი შესახედავი,
კაკასიონზე ფრთამოკვცილ ღამეს ეძინა,
ეძინათ მთებსაც, არ ეძინათ მხოლოდ ვარსკვლავებს,
რომ მშვიდი ღამე თავდასხმისგან გადაერჩინათ.

გალაკტიონი

შენთვის ახლობელს,
ჩემთვის შორეულს, —
ამბობს სიმღერას ქარი,
ისე გოდებენ ხეთა ტოტები,
როგორც ლარები ქნარის.
ჩემთვის შორეულს,
ცრემლებმორეულს,
შევეცქერ უხილავ თვალებს.
გალაკტიონი განმარტოებით
ესტუმრე ზამთრის ბაღებს.
იმ საუბარით
რა დაუბარე,
ყორნებს რომ მიაქვთ სადღაც...



ლურჯა ცხენებით გადაუარე
იმ ჩემს სამყოფელ ალაგს.
უკან მოგდევდა ქარი სიმღერით
და ფანტელების ჯარი.
შენთვის ახლობელს,
ჩემთვის შორეულს, —
ამბავს ყვებოდა ქარი.
ამ ქარს ტყედ გაჭრილს, როგორც ოცნებას,
ვინ აუდგამდა ენას.
ლექსს თუ სცოდნია გასხვიოსნება,
ძალა თუ ჰქონდა ზენას,
მხესთან საუბარს რა დაგიშლიდა,
ლექსის ღმერთკაცი თუ ხარ,
ბრმისთვის წყვედიადი გადაგიშლია
მკვდარს „მესაფლავე“ უთხარ.
ჩემთან საუბრის დრო არა გქონდა,
არღვევი ზეცის თაღებს,
თუმც ათასწლობით ითვლიდი დროს და
მე კი, ვითვლიდი წამებს.
ბოლოს გიპოვე და მაინც სდუმხარ,
ახალ სამყაროს ბაღებ.
ვიჯექით, დიდხანს გისმენდი მღუმარს,
ათოვდა ზამთრის ბაღებს.

ეკლესია

რაზე ფიქრობ, მითხარ, რაზე, ასე დიდხანს.
რად წახრილხარ, ყავარჯენი ზომ არ გინდა,
არც სამრეკლო ზარის ხმაზე სულს არ ითქვამს...
ნინო წმინდა...

რა უყავი ის სამრეკლო, ან ზარები,
ო, იმ ზარებს თქმა თუ სურდათ კიდევ რამის,
და ზარები ისევ აღარ ზანზარებენ,
სდუმს ივერის მარიამი.



არც მე მესმის, რად დადუმდი მლოცველისთვის,
კვლავ ცრემლი გდის დახვესებულ კედლებიანს,
მაინც მოვალ და ორთავეს ცოდვებისთვის
მუხლთ მოგიყრი, ეკლესია.

„შეუნდეო“, წარსულში თუ გითქვამს ასე,
აღაღადდი, აღსარება მაინც მინდა,
ო, სადა ხარ, გეამბორო ვაზის ჯვარზე,
ნინო წმინდა.

ამ საფლავებს რომ დასცქერი შუბლშეკრული,
ჯვრებამოწრილს, გადაბარდულს, ეკლებიანს,
შავ ფიქრებში ყორანივით შერუჯული
ჩამარხულხარ, ეკლესია.

ან რას იზამ, დაიქანცე,
გადადექი ამ ცხოვრების შარაგზიდან,
დაავიწყდათ ღეთისმშობელი მარიამი,
იესო და ნინო წმინდა.

მუხა

იმ უღრან ტყეში გამკვლევი თუ ხარ
და ყურს თუ უგდებ ხეთა კაემანს,
ნახავ დიდ მუხას, ასწლოვან მუხას,
ტახის ნაეშვარს.

იმ უღრან ტყეში გამკვლევი თუ ხარ,
ნახავ, ტოტები რა ძირს დაეშვა,
უყურებ მუხას,
უყურებ, სწუხსარ...
უყურებ ღიღხანს, ვით ცხოვრებას
შენსას ნაეშვარს.



იმ უღრან ტყეში გამკვლევი თუ ხარ
და თუ ოცნების აფრა დაგეხა,
თავს შეადარებ ნაეშვარ მუხას,
მუხას,
ნამეხარს.

ძვირფასო დედა

და ასე წვიმდა...
აღბათ, ისევ ღამე მონახავს,
გულს რომ გემარხა ღამესავით უკუნი სევდა,
გისმინო მინდა,
შენც წარსული წლების მონა ხარ,
ძვირფასო დედა.
ტიროდა ღამე...
ბევრი რამე მითხარი კიდევ,
ო, მოგონებავ იმ ღამეში წარსულის დღეთა,
მითხარი რამე,
კიდევ რამე, ღამეა ვიდრე,
ძვირფასო დედა.
მითხარი რამე,
როგორ მიყვარს, როცა მიყვები —
გარეთ წვიმაა, ღამეა და გლოვაა ფერთა,
გათენდეს, ბარემ,
ნეტავ დილით ისევ ვიქნებით,
ძვირფასო დედა?

და ასე წვიმდა...
აჩრდილებმა ცრემლები ღვარეს,
ო, ისევ ღამე... გადაიღებს ეს წვიმა, ნეტა?
გისმინო მინდა,
რად დადუმდი, მითხარი რამე,
ძვირფასო დედა.



ფოთოლი

ეს ფოთოლი უთენია
 თელას მოსწყდა ჩქამით,
 დილით ფეხს გაუთელა,
 შევერცხლილი ნამით,
 უთენია ეს ფოთოლი,
 უთელიათ ფეხით...
 თელას მოსწყდა, ობოლია,
 აუარეთ გვერდი.

ღამე მტკვრის პირას

ცის მკერდზე ღრუბელმა ტაძარი აღმართა,
 შიგ მთვარე შებრძანდა ვარსკვლავთა ამალით.
 დღეს თბილისს მგზავრით გზად შემოაღამდა
 და მტკვართან ამუხლა მერანი ფრთამალი.
 თბილისმა ნაბადი მტკვრის პირას გაშალა
 და მტკვარი, ვით ძიძა, უმღერის ძილისპირს,
 „დავითმა არაბი ემირი დალაშქრა,
 ცხრაასი წლის წინათ აიღო თბილისი“.
 ღამე კი ნაომარ ზღვასავით მშვიდია,
 მტკვრის ღურღუს ქაფიანს თბილისი ჩაჰყურებს,
 შიგ მთვარის მთრთოლავი აჩრდილი ჰკიდია,
 ვით აღმოსავლელი ქალღმერთის საყურე.
 „ცა ფრთებს იკეცავდა, ვით ორბი დაჭრილი,
 ქრებოდა ნათელი ქართული დილის მზის,
 კვლებოდა, ვით იგი, ხონობი ფრთაჭრელი,
 დავითს რომ არ ეხსნა მტრისაგან თბილისი“,
 მთვარე კი, მოხრილი გორგასლის შეილდივით,
 დაჰყურებს თბილისს და ღიმილში თეთრდება,
 თბილისი ამხედრდა, მერანი ჭიხვინით
 შლის ფაფარს, ოქროსფერს. მტკვრის პირას თენდება.
 თენდება — მეც მტკვართან ვბაასობ დილაძდის,
 თბილისო, მე შენთან ხომ მგზავრად მივლია,



თენდება — შეხედე, ეს მთვარე პირბადრი
 ცის გახსნილ პერანგზე ბადასშის ღილია.
 გათენდა — ღრუბლების ტაძარი დაიმსხვრა
 მზემ სხივთა ღიმილი რა უხვად დასთოვა,
 ღამემ კი გუდა და ნაბადი აიკრა
 და მაჰმადხანივით თბილისი დასტოვა.

პირველი ზამთარი

ქუჩებში თოვლის ქუდებით დადიან,
 ფიფქი ხის ტოტებზე რჩება თუ ცვივა;
 პატარა გოგონა გამოჰყავს ბებიას;
 გოგონა გუნდაობს, ბებიას სცივა.
 ვაჟები ღვანან და ქალები ჩქარობენ,
 თოვლს აყრის გამკვლელებს ნაძვების მარაო,
 კმარაო — აჩქარებს გოგონას ბებია;
 გოგონა სიცილით პასუხობს — არაო.
 თმის ვერცხლის კიბეებს აჰყვება თითებით,
 მოიხსნის თავშალს და მოახვევს შეილიშვილს.
 მე ვხედავ საოცარ სითბოს და სიყვარულს
 ბებიას თვალებში, ბებიას ღიმილში.
 ბებიას თოვლივით ქათქათა თმები აქვს.
 ნაძვებიც ქათქათა საბნებით მორთულან.
 და უკვირს პატარას, ბებიას თავშალქვეშ
 რა თბილი, რა თბილი ზამთარი მოსულა.





ეუყურებ ზეცის ლურჯ ტატნობზე მთვარის შემოსვლას,
 და გული ჩემი მოგონების ტალღებს შერთვია;
 მდინარის აქეთ მშობლიური საქართველოა,
 მდინარის გაღმა ოსმალეთია.
 ვიცო, ცეცხლს ყრიდნენ თვალებიდან შლეგი რაშები
 და ბრძოლის ველზე უთვალავი თავი ეყარა,
 მახვილს ითხოვდნენ აკენიდანვე ჩვილი ბავშვებიც,
 რომ მტრისთვის მკერდი გადაედარათ.
 ამ დედა მტკვარში სისხლის ტბორი არ დატეულა,
 სიკვდილს შებშია თავგანწირულ გმირთა ლაშქარი,
 ბოლოს მახვილი შიგ ვადაში გადამტკვრეულა
 და მაინც იყო: ჰეი, დაჰკარი!
 მე ისიც ვიცო, ერთ ქართველზე ათი იყავით,
 მონებად ყიდლით ქართველ ქალებს თვალებიგმირიანს,
 მამულისათვის ვეცემოდით, მამულს ვფიცავდით
 და ოსმალეთში ამბის მიმტანიც არ გაგვიშვია.
 მე ისიც ვიცო, ბევრი არის მდინარის გაღმა,
 არ ჩაჰქრობია სიცოცხლე და მკლავის იმედი;
 და ბევრის გული ქცეულია მრისხანე ნაღმად,
 ამღერებული, როგორც ჰიქმეთი.
 რად გინდა, თურქო, ძველებურად ხმალი შემართო,
 ვინ გითხრა, თითქოს შობიდანვე შენი მტერი ვარ,
 არც მიფიქრია მკერდი სისხლით შეგიფერადო,
 მაგრამ გახსოვდეს — მე ქართველი ვარ.
 რად მედავები მშობელ მიწას დასაბამიდან,
 შავი ბაღლაში გულში რად გაქვს შემონახული?
 მე შენი ქვეყნის ტერფისტოლა მიწაც არ მინდა,
 შენ კი წამართვი ოშკი, ხახული.
 მდინარის გაღმა მე შენს მახვილს შემართულს ვხედავ,
 გინდა გლოვაში გაითენოს დედა-თბილისმა,
 გახსოვდეს, თურქო, შენ თამარის ლაშქარი გცემდა.
 გახსოვდეს, თურქო, მე ქართველი ვარ.



თბილისში ღამით ვინ სეირნობს, პოეტის გარდა,
 სხვას ლექსისათვის ღამის თევა არ მოუნდება.
 შევდგები ხიდზე,
 ქულს მოვიხდი,
 ჩავხედავ მტკვარს და...
 ზეცა გულაღმა ამობრუნდება.
 მერე გაეყვები...
 ვივლი, მანამ არ დავიღლები,
 მტკვარი მეტეხთან აპყლია ჯვებირს ყელამდე,
 სახლის კედლებზე მიყრდნობილან ჭადრის ჩრდილები
 და ასე სძინავთ გათენებამდე...
 სძინავთ?
 იძინონ,
 ხელს არ ვუშლი ძილში სრულებით,
 დავდივარ ფრთხილად,
 აი, ჩრდილსაც გადავაღაჯე,
 დავხეტილობ,
 თბილისს ლექსებს ვედუღუნები
 და ვაეჭვებ ღამის დარაჯებს.
 მერე თენდება...
 თმებს მიწეწავს სუნთქვა დილისა,
 კახეთის მხრიდან მატარებლის კივილი მესმის...
 ო, როგორ მინდა,
 როგორ მინდა, ჩემო თბილისო,
 ჩვენს სიყვარულზე დავწერო ლექსი.

პითჰოვენი

ყოველ საღამოს, როცა მინდა დავწერო ლექსი,
 როცა ბავშვები ეზოს ნუშებს ეთხოვებიან,
 უცხო გოგონას აღებული აკორდი მესმის,
 დავდებ კალამს და დავმუნჯდები,
 — ბეთჰოვენია...



ის მოჰყავს ჩემთან უცნობ გოგოს უცხო ალერსით,
 მოჰყავს, რომ გული, ჩემი გული სადღაც წაიღოს,
 და იმ საღამოს, ბეთჰოვენი როცა არ მესმის,
 მე მეშინია, ის გოგონა ავად არ იყოს.

ტიციან ტაპიქან

მიჰქირიან წლები ფრთაასხმული რაშის უსწრაფეს
 და ივსებიან მოგონების საწყაულები,
 შენი ცხოვრება ერთხელ ისე დაახურდავეს,
 როგორც იესოს ჩადენილი სასწაულები.

დატოვე ქვეყნად გაფრენილი ლურჯი ოცნება,
 ლექსით დამწვარმა, დაფერფლილმა, აღმოღებულმა,
 შენ კიდევ ერთხელ მოასწარი ხმის გამოღება,
 ვით დიდმა ზარმა, სამრეკლოდან ჩამოგდებულმა.

მატარებელიდან

დიდი წარსულის დადი აზის ქვათა ყოველთა
 სვეტიცხოველთან.
 ჯვრისკენ მიცურავს მძიმე ნისლი ქარში დაძრული...
 ... და უკან რჩება მცხეთა,
 ჩვენთა წინაპართ კურთხეულ ხელთა
 ნაშენი და გადატაძრული...



არაგვის ჭალაზუმი

... და ლურჯად გათენდა არაგვის ჭალაში,
 ნიავე ღრუბელის ბალიშზე ისვენებს,
 ჯეჯილებს სიცოცხლის წიგნივით გადაშლის
 და თითებს არაგვის ტალღებში ისვენებს.
 სავსეა ცვარ-ნამით ყაყაჩოს თასები,
 წითლად რომ ქარგავენ წიწამურს ტვერიანს,
 ჭალას რომ რძისფერი ნისლები ავსებენ, —
 ნუშის და ტყემალის ყვავილთა მტკვერია.
 მზე მცხეთის ჯვარზეა,
 დნება და იღვრება,
 — მამულო, იცოცხლე,
 დღემუდამ გეხაროს,
 ისმინე მზისა და სიცოცხლის სიმღერა:
 — დაიწყე, მერცხალო.

თამარის ციხე

ჩემ სოფლად ერთი დიდი მთა არის,
 ცა ღრუბლის კალთას ამ მთაზე იხევს,
 მზე აქ ამოდის, როგორც თამარი,
 და აგვირგვინებს თამარის ციხეს.

წამოდი, ვნახოთ თამარის მთაზე
 ციხე ზეიადი, შუბლშეჭმუნენილი,
 ამ ხევს მთისაკენ ბილიკი ასდევს,
 ძნელი, გურული კრიმანჭულივით.

ციხე ჩანს, როგორც მთების ნაწილი,
 მიღუღებული ცის სიშორესთან,
 და ქონგურებზე მსხდარი არწივნი
 ჰგვანან ნაბდიან მეციხოვნეთა.



მათი ყვირილი შორიდან ისმის,
თითქოს უხმობენ თოროსან მოყმეს,
ო, როგორ ჰგვანან კედლები ციხის
ქართველი დედის დახოკილ ლოყებს.

რადგან შენ სოფლად,
რადგან ჩემ სოფლად,
რადგანაც ყველგან, სადაც მთა არის,
დგას დიდი ციხე:
დავითის ციხე,
ბაგრატის ციხე,
ციხე თამარის.
რადგან სიცოცხლის დიდი სახელი
არ გაუუხადეთ სიკვდილს ზიარი,
ამიტომ ქართველს ჰქვია ქართველი,
ხოლო თბილისი თბილისი არი.

ბალზი

აისი ღამის დარაბებს აღებს,
სიცოცხლის ფერი მოჰყვება ივლისს.
— სალამი ვარდით მოქარგულ ბაღებს,
— სალამი მტკვარს და სალამი თბილისს!
ხეზე ჩიტები კვირტებად სხედან,
მივალ და ბაღის კარებს შევადებ,
აი, მოხუცი გადახრილ ხესთან...
— დილა მშვიდობის, ძია მეზაღე!
ჩამოგვიქროლებს გოგონა ანცი,
ყვავილს ფუნთულა ხელებს შეახებს.
— დილა მშვიდობის, პატარა გვანცა!
— დილა მშვიდობის, ძია მეზაღე!
მერე მთელი დღე ვარდებში დადის,
მზეს ემალება ბაღში თაკარას,
— ძია მეზაღე, მოვწყვიტო ვარდი?..
— მოდი, მოწყვიტე, ჩემო პატარა.



დაისი ღამის დარაბებს კეტავს,
მზე უკანასკნელ სხივებს შეგვახებს
და ისმის ირგვლივ შრიალი ხეთა:
— დამე მშვიდობის, ძია მეზაღე.

მე თბილისელი ბიჭი ვარ

მე თბილისელი ბიჭი ვარ,
ყადრიანი და გამგები,
თუ აჩრდილივით არ მდიე,
ქუჩებში დაგეკარგები.
მე ლერწმის სალამური ვარ,
ჩემი ხმა ვარსკვლავს მისწვდება,
თუ დროზე არ ამაკვნესე,
სიმღერა დამავიწყდება.

მე ფოთოლი ვარ ამ ჭადრის,
მზე მკოცნის, მთვარე მარიგებს,
თუ დროზე არ ამიტაცებ,
მოვა და ქარი წამიღებს.

მე სიყვარულის წვიმა ვარ
და შენთან ერთად ვსველდები,
თუ დროზე არ დამაგუბე,
წავალ, მტკვარს შევუერთდები.

მე სიყვარულის ლექსი ვარ,
ლექსი ვარ გულის ნადები,
თუ დროზე არ შემეყვარე,
სხვა ვინმეს შევუყვარდები.



პარაზი

აკაციების რხევით
 აღარ მოდიხარ, ქარო,
 გაქრა ვარაზის ხევი,
 გაქრა ვარაზის წყარო.

ჯაჭვზე დაბმული ძაღლი
 გააგებული როგორ,
 ხევის პირს თიხის სახლი,
 და იეზიდი გოგო.

სილაზე ციცქნა ტერფი —
 ბავშვობის კვალი ჩემი,
 ქვაზე შემსკლარი ღელვით
 ჩემი ქალაღდის გემი.

ვარაზის მღვრიე სარკე,
 შორს გაქცეული ფიქრი,
 უნივერსიტეტს აქეთ,
 უნივერსიტეტს იქით.

მზე სარკმელს ხვდება, როგორც
 ოქრონაელები ფუნჯი,
 ის იეზიდი გოგო
 მოდის ვარაზის ქუჩით.

ეხლა სად ცხოვრობს, ნეტავ,
 გამოიცვალა როგორ,
 — შემოიარე ჩვენთან,
 სად ლაიკარგე, გოგო!



უკაცრავად

ქუჩა-ქუჩა ფეხაკრეფით და ღიღინით მოვდივარ,
 ცოტა ნაბახუსევი ვარ, ცოტა, მთვრალი კი არა,
 გოგონებო, გზას ნუ მიქცევთ, განა მართლა ლოთი ვარ,
 წუხელ ჩვენსკენ წვიმდა, მაგრამ უკვე გადაიარა.

ჯერ სისხამი დილაა და მთვარე ისევ დამნათის,
 რა ცოდნია ტვიშის ღვინოს, გამოგაცლის არაქათს,
 — უკაცრავად, მეგობარო, რომელია საათის?
 — მაპატიეთ, მეგობარო, პაპიროსი არა გაქვთ?

ქუჩა-ქუჩა ფეხაკრეფით და ღიღინით მოვდივარ,
 ცოტა ნაბახუსევი ვარ, ცოტა, მთვრალი კი არა,
 გოგონებო, გზას ნუ მიქცევთ, განა მართლა ლოთი ვარ,
 წუხელ ჩვენსკენ წვიმდა, მაგრამ უკვე გადაიარა.

დაო!

სარკმელს გამიღებს მთაწმინდის ქარი
 და აკაციის ტოტებთან დაობს,
 ჩვენი თბილისი, ჩვენივე მტკვარი
 და მოგონება, ძვირფასო დაო.
 გადამავიწყდა ყოველი თითქოს,
 მაინც წარსულის ხსენებას ვბედავ.
 გახსოვს? უეცრად წასული სითბო
 და სიცოცხლეზე უტკბესი ღედა...
 მოდი, ვიფიქროთ წარსულზე ერთად,
 რადგანაც იგი გვქონია ერთი,
 ჩვენ ღვთისმშობელი გვეგონა ღედა
 და მამა — თვითონ მაღალი ღმერთი.
 გახსოვს? — ზღაპარი ოქროს მამალზე
 და ამირანზე ნათქვამი მითი,
 ოცნება ღედის იავნანაზე
 და სანთლის ალზე დამწვარი თითი.



ფერისცვალება უამრავ დღეთა,
 მოგონებები ისევ რამდენი...
 მერე, ვით შუქი, მოვიდა დედა
 და მასთან ერთად დავიბადენით.
 სარკმელს მიხურავს მთაწმინდის ქარი
 და ახლა ჩემთან რაღაცას დაობს,
 მაცოცხლებს დედა, თბილისი, მტკვარი
 და შენზე ფიქრი, ძვირფასო დაო!

რუსთაველის კეგლთან

მზე თავს მიწამდე იხრის,
 ღამე ნაბადით დგება,
 მთვარე ღრუბლებში იწვის,
 ღრუბლის შანდალში დნება.
 მტკვარი სალამურს უკრავს
 მოსაგონებლად ძველთა,
 ქართველის სიცოცხლე სუნთქავს
 შოთა რუსთაველის ძეგლთან.
 ქართველის სიცოცხლე სუნთქავს
 მთვარით ნაშუქარ ბნელში,
 შოთა რუსთაველის გულთან,
 ქვისგან გამოთლილ მკერდში.
 გაშლის ქაღალდის გრაგნილს
 მთაწმინდის სიო გრილი,
 გადაბმულ წარბებს გახსნის
 სახე ქვისგან თლილი.
 ზეცით მოუხმობს რითმას,
 მტკვარი შედგება განზრახ,
 ყური დაუგდოს სიტყვას:
 „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახს“.
 მთვარე ღრუბლებში იწვის,
 თრთის, ვით ფოთოლი ვერხვის,
 უკვდავ სიმღერას იტყვის



ვინმე მეღექვე მესხი.
 მუხლებს მოიყრის ძეგლი,
 მტკვრისკენ გაიწვიდის ხელებს.
 ხმა აფლერდება ნელი:
 „თამარს ვაქებდეთ მეფეს“,
 მთვარე ღრუბლების ტახტზე
 ზის თამარივით ბადრი,
 შედგება მგოსნის ხმაზე,
 წუთით დაუდო ყადრი,
 გაუდიმა და ღრუბლის
 ჩამოიფარა ჩადრი.
 მტკვარი სალამურს უკრავს
 მოსაგონებლად ძველთა,
 ქართველის სიცოცხლე სუნთქავს
 შოთა რუსთაველის ძეგლთან.

მეათე პალატა

მე მაშინ მოვედი, დამთავრდა როდესაც
 სიცოცხლის ურითმო, უაზრო ბაღადა,
 როდესაც გარდაცვლილს მორიგე მოსდევდა,
 მეათე გოგონა... მეათე პალატა...
 მე ყოველ გაზაფხულს, სიკვდილის გაზაფხულს
 ველოდი სიცოცხლის შიშით და კანკალით,
 მიყვარდა... მძულდა და ველოდი დასასრულს,
 მეათე პალატა — სიკვდილის საკანი...
 იწვავო გოგონა ფერმკრთალი, შავთვალა
 და ლადოს ლექსები ეწყო კარადას,
 და ბოლოს ლამაზმა ექიმმა დაგთვალა
 მეასე გოგონა, მეათე პალატა.
 მე მძულდა ჭირივით ეს ჭირი ვერაგი —
 ლამაზი ექიმი და თეთრი ხალათი,
 და ვერ დავივიწყე, ძვირფასო, ვერასგზით
 გზა სამარისაკენ მეათე პალატის.



ბავშვობის სიზმრები

წევხარ ლოგინში გარინდული და თვალებს ნაბავ,
ხანდახან ძაფი გაუწყდება აზრის დინებას,
დედა კითხულობს ლამაზ წიგნში საოცარ ამბავს,
უსმენ, უსმენ და... ჩაგეძინება.

... აი, მიცურავს იალქანი დაუსაბამოდ,
თვალი იღლება ნაპირიდან ჩვენსკენ ყურებით,
გემის ბაქანზე გვესტუმრება მლაშე სადამო,
მერე ღომინოს ვითამაშებთ მეზღვაურები.

მიცურავთ ისევ...
გამოჩნდება ხმელეთი ალბათ...
მოვარდა ტალღა და გემბანი რისხვით დანისლა...
— ადით ანძაზე!
— აფრები დაბლა!
ისმის ბრძანება კაპიტანისა...

იმსხვრევა გემი, —
მშველელი კი არა ჩანს ახლოს,
სიკვდილი დასდევს გზადაკარგულ ხომალდს აჩრდილად.
გვისროლა ტალღამ,
— ვიღუპებით, გვიშველეთ, ხალხო!..
...და ისევ დეღამ,
დედის კოცნამ გადაგვარჩინა.

* * *

უცხოვრია შაჰის მოფარდაგულ დარბაზებში,
უენოსია ნაზი საკმეველი ვარდის,
შარბათი უსვამს ოქროს აზარფეშით
და მაინც აზრჩობდა დარდი.
მთვარე აქ ბადრია, იქაც იყო ბადრი
და მაინც სადარი ვერ იპოვა ვერსად,
საქართველოს მიწის იცოდა ყადრი,
საქართველოს მიწაზე ერჩია კენესა.



შენ ხარ ვენახი!

მე მთაზე დამრჩა პატარა ოდა,
კარგი დილა და კარგი ამინდი,
ოდას ლამაზი პარმადი ჰქონდა
და ხავსიანი ეწყო კრამიტი.
მათრობდა ჩემი სოფლის ჰაერი
და ზეცა ელვით გადახეული,
მათრობდა ჩემი ეზოს ჩხავერი,
ოდის ბირკვილზე გადახვეული.
მე სიყვარული უზომო ვიცი
და ამისათვის მამულს გეძახი,
სიტკბო და მადლი ქართული მიწის —
შენ ხარ ვენახი!

ზღვა

მე აქ ვერ დავდებ ზღვარს,
მე აქ ვერ ვიტყვი ლექსს,
ვეელაფერს ამბობს ზღვა,
თუმცა არაფერს წერს.
ვფიცავ მიწას და მზეს,
ზღვის მაჯისცემა მშურს,
ზღვაო, არ გეტყვი ლექსს,
მხოლოდ დაგიგღებ ყურს.
მერე მოგანდობ თავს,
მერე მოგანდობ სულს,
თუ არ დამიმსხვრევ ნავს,
თუ არ გამწირავ სულ.



ზღვასთან სიმღერა მინდა

ქარო, არწიე ყანა,
ყანავ, ამწიფე პური,
წყაროვ, იმღერე ნანა,
იავ, ღაუგღე ყური.

მზეო, შეხედე ღრუბელს,
ცა რად ტიროდა წინად,
ჩიტო, აშენე ბუდე,
ალვავე, მიეცი ბინა.

ირემო, ჩამო ბარად,
ტყეო, დაყარე წაბლი,
ვაზო, იქეცი ქარვად,
ფუტკარო, მომეც თაფლი.

კერავ, იდინე ბოლი,
სარო, გამართე ღობე,
ეზოვ, ამწვანე მოლი,
მიწავ, სიცოცხლე მომეც.

ზღვაო, რაღაცას მღერო
საოცარსა და წმინდას,
ცავ, აიხადე ჭერი,
ზღვასთან სიმღერა მინდა.

რინის გზა

ბზიფის ხეობა ჩაჯანღებული,
გზა თითქოს ზეცის თაღზე აღისო.
კლდე, კლდეზე შუბლით დაჯახებული,
წარბებშეკრული სამარადისოდ.
შენს უნებურად უმატებ ნაბიჯს,
ღრუბლები ცაზე ღინჯად მიდიან.



მარცხნივ ხრამია, ახელავ მარჯვნივ, —
შავი ლოდები ბეწვზე ჰკიდია.
უფრო მაღლდება სიცოცხლე შენი,
ხელავ მშვენიებას, ჯერ უთქმელს ენით,
ცა დედამიწას საოცრად შეენის,
მიიწევს მთაში, მხემდის იზრდები.
წინ გადაგიბრებს დამფრთხალი შველი —
და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდები.
რა შეუძლია კაცის ძალასა,
კლდეს შეუნგრია გულის ფიცარი,
და რიწის ტბისკენ ფართო შარავზა
მთებს დაუმიზნა, როგორც ისარი.
ამღერებული ავედი მთაში,
მზე შუბლზე ღრუბლის დაღალს იხვევდა,
შემოდგა კლდეზე და რიწის ტბაში,
პატარძალივით ჩამოიხედა.
ტბა ნაპირს ტკბილად ესაუბრება,
ნაძენარი მზესთან მოუბარია,
და რაც ჰქონია კარგი ბუნებას,
სუყველა რიწას მოუპარია.
გავცქერი ქედებს, ძმებივით შეყრილს,
მთაზე თოვლი ჩანს, ხელის დადება,
ჩანჩქერს კლდის ქიმზე უცდება ფეხი
და ნაპრალებში კისრით ვარდება.
— სალამი, მთებო, თქვენთან მოვედი!
— სიცოცხლე! — მესმის ყოველი მხრიდან,
და მეც, ვით ჩანჩქერს, კლდიდან მოხეთქილს,
ისე მჩქეფარე სიცოცხლე მინდა.





ვაჟა-ფშაველას

კორჩიოტა რას ჩიოდა?
 აპრილში რომ მინდვრებს ვერცხლავს,
 იქნებ პეპლებს უჩიოდა?
 ვინ აუხსნას ბოლოცეცხლას:
 „რას ჩიოდა კორჩიოტა?“

კოჭლი ბელურა

აბუზულიყო ბუხართან კატა,
 ნადვის ხეს თეთრი ქული ეხურა,
 მიწას ეფინა თოვლი ქათქათა
 და ზედ დახტოდა კოჭლი ბელურა.
 იგი კოჭლია, მაგრამ მერე რა,
 მას აბრეშუმის ფრთები ასხია,
 და თუ ისურვა ფრთა ფრთას შემოჰკრას,
 ცის კარი მუდამ დახვდება ღია.
 ვარსკვლავს აკოცოს, — მას შეუძლია
 და გადალახოს ცხრაჯერ ცხრა მთები,
 მაგრამ მან რა ჰქმნას, ვინაც კოჭლია
 და არ ასხია ბელურას ფრთები?

მნათობებისკენ

მთვარის ნაფეხურს ჩავევები ხევში,
 ანკარა წყალში ჩაეხედავ ზეცას
 და ღამე, მთვარით დაჭრილი მკერდში,
 ლურჯ მხრებს ქედებზე შემოიკეცავს.
 ცის კრიალოსანს წყალში დავითვლი
 ყელზე მომახვევს სხივებს აისი



და ამ პატარა ხევში გაივლის
 ჩემი ბაეშობის თბილი მაისი.
 ქვეყნის ამბებით დავიფურსები
 ველარ დამიტევს პატარა ხევი
 და ისევ მთვარის ნაფეხურებით
 მნათობებისკენ ავევები ზევით.

ვუძღვნი ასალბაზრდა პოეტიკს

მტარვალზე ღვარად მომსკდარი გესლი
 გულსაც სწვავდა და კუპრის დამესაც,
 შრაპნელის ალზე ნაწერი ლექსი
 მტერს მახვილივით მკერდზე დაეცა.
 ლექსს გამარჯვება ერქვა სახელად,
 რისხვა გრიგალმა როგორ ალაგმოს,
 შენი ლექსები მახვილთან ერთად
 იყო ტყვია და იყო მალამო.
 როცა სიცოცხლის ღაზათი გესმის,
 როცა სიცოცხლის იცი გაგება,
 სისხლით ნაწერი პატარა ლექსიც
 გმირის სულივით არ იკარგება.
 როდესაც ეძებ სიკვდილს იმისთვის
 მამული იყოს დღეგრძელ მარადის,
 როდესაც ქართველს დროშად მიგიძღვის
 ბრძოლა კრწანისის, ბრძოლა მარაბდის,
 როდესაც გესმის სიცოცხლის ძალა,
 მუდამ ჭაბუკობ და არ ბერდები,
 მოდი, სცადე და ნუ ასწევ კალამს,
 მოდი, სცადე და ნუ ამღერდები.
 ღამაზ სიცოცხლეს როცა უყურებ
 რა უბრალოა და რა რთულია,
 შენ კი არადა, ლექსი დუღუნებს
 გული ზღვა არის, ზღვა კი გულია.
 როდესაც გესმის სიცოცხლის ძალა,
 მუდამ ჭაბუკობ და არ ბერდები,



მოდი, სცადე და ნუ ასწევ კალამს,
 მოდი, ზღვასავით ნუ ამღერდები.
 ოღონდ იმღერე, იმღერე ისე,
 იყო ბობოქარ ზღვაზე ხმიერი,
 იმღერე, ისე დაათბე მზისებრ,
 წყალში ქვაც გათბეს შენი სიმღერით.
 იმღერე ისე, ზეცამაც იგრძნოს,
 ხმამ ამოხეთქოს გულის ფიცარი
 და შენთვის შენი ლექსები იყოს
 ყველაზე წმინდა დასაფიცარი.

ნაცნობი პალი

ნაცნობი პალი...
 ზღვა სიხარული...
 ნაცნობი სკამი...
 თბილი საღამო...

ჩვენი ოცნება და სიყვარული —
 სიცოცხლესავით დაუსაბამო...

იმ დღეებს გულში ვერაფრით წაშლი
 და ჩვენ იმ ადგილს ვესტუმრეთ ისევ,
 წინ მირბის ჩვენი პატარა ბავშვი
 და კაბის კალთას კენჭებით ივსებს.

ორთავეს დაგვგლის ბავშვი თამაშით,
 აღარც ისვენებს, არც ეძინება...
 ვხედავთ, ჩვენს სკამზე სხედან ქალ-ვაჟი,
 დაეინახავთ და გაგვეცინება.

- დაბრძანდით!
- არა, არა, იჯექით!



მერე ღიმილით ვუხდით მაღლობას,
 მოგვეყავს პატარა,
 ვბრუნდებით უკან
 და ბაღში ვტოვებთ ახალგაზრდობას.

გადასცემ, ალუბალო?

გახსოვს, ალუბალო?
 არ გახსოვს? მაშინ
 მე და შენ ვიყავით გართული ფიქრით,
 ის გაზაფხულივით მოვიდა ბაღში
 პატარა ქოლგით და პატარა წიგნით.
 ცა იყო საოცრად მშვიდი და ღრმა,
 მისი თვალები ბაძავდნენ ზეცას,
 მხრებზე ეყარა გაშლილი თმა
 და აპრილივით ლამაზად ეცვა.
 არ გახსოვს?
 გაიხსენე,
 კარგად გაიხსენე,
 მაშინ შენ ჰგავდი სულ ახლად მოთოვილს.
 მოვიდა,
 ღიმილით ბაგე გაიხსნა
 და წიგნით წაიღო შენი ფოთოლი.
 პოლა, იმ გოგონას,
 იმ ლამაზ ცირას
 მინდა ორიოდე სიტყვა დაეუბარო...
 იქნება მოვიდეს შენთან და, იცი რა?...

— გადასცემ, ალუბალო?



ბიყვარლა

შენ ჩემთან ტიტინი გიყვარდა
 პატარა გოგონას დარად,
 კოცნას რომ მოგთხოვდი ჩინართან,
 ბავშვივით მეტყოდი — არას.

შენ ჩემი წამება გიყვარდა,
 ბაგეს ხელს ადებდი ფარად,
 მე შენი ბავშვობა მხიბლავდა
 და შენი ბავშვური — არა.

მე ლექსებს გეტყოდი ჩინართან,
 შენ ჩემი ლექსები გიყვარდა,
 შემდეგ ეს ბავშვობა გაფრინდა,
 წავიდა, სად გაუჩინარდა?

ცაო

ცაო, მიწამე, თუ ხარ,
 იმ ვაჟს და იმ ქალს უთხარ,
 ქალ-ვაჟს:
 ვაჟას და ლიას,
 თუ ერთმანეთი უყვართ,
 მე რას მერჩიან — იას?!

შენ გახსოვს?

* * *

წამოდი, სიცოცხლე განახლო,
 გაუძლებ იების მხერას?
 უსმინე, რას ამბობს ბალახი:



- მიწა ვარ
- ზეცა ვარ
- მზე ვარ.

ყაყაჩო საშველს თუ არ მოგვცემს
 და მზე თუ დაგვიწვავს დაწვებს,
 ჯერ მინდორს კალთაზე ვაკოცოთ
 და მერე გულადმა გავეწვეთ.

შეხედე, მთას ცეცხლი ედება
 და როგორ მაღლდება ცამდე.
 არ გინდა? როგორც ის ქედები
 ამ ნისლებს რძესავით ვსვამდეთ.
 გახედე იმ ნახირს აშვებულს
 და გზაზე მიმავალ ურმებს.
 შენ გახსოვს ჩვენი ბავშვობა?
 რა ცუდად ვხატავდით თურმე.

სოფლის საღამოეზი

ტკბილი მოგონება,
 ჭიაკოკონებად...
 სოფლის გოგონების
 თვალთა ელვარება...
 სიტყვა გადაკრული...
 გული დაზაფრული...
 ბაგე დაშაქრული...
 სისხლის მღელვარება.

მძივად დაპნეული,
 მძივად გადაყრილი
 დგანან თავდახრილი
 სოფლის გოგონები.
 ტკბილი მოგონება,
 ჭიაკოკონებად



შუკის ორღობესთან
 დგანან ორ-ორები
 ღამე დაილია...
 მთვარეც დაილია...
 წყვილად გაივლიან,
 როგორც მოლანდება.
 ასე სიარული...
 სიტყვა სიყვარული
 უცხო სიხარულით
 ენას მოადგება.
 ერთის გაორება...
 ცრემლის დაგორება...
 ტკბილი განშორება
 ჭიშკრის ალაგოდან.
 მერე მოგონება,
 ჭიაკოკონებად,
 ლექსი, ჩამოსული
 სოფლად ქალაქიდან.

თოვლა

თოვლა და მერე როგორ,
 ისე ბარდნიდა კარში
 ვით მოგონება ას წელს
 გადაცილებულ კაცში.
 თოვლა და მერე როგორ,
 სულ მთლად დათოვა სახლი,
 გორაკებს მოახვია
 სპეტაკი ყაბალახი.
 დათოვა საბალახო,
 შემოათოვა ახორს,
 ასეთი დიდი თოვლი
 ჩემს სოფელს ჯერ არ ახსოვს.
 მწვადი და ღვინო მედგა,



უყვარდა მამა-პაპას,
 თმაშეფიფქული ბაბუ
 ცეცხლთან ყვებოდა ზღაპარს.
 ბაბუ ყვებოდა ამბავს,
 ტურფა და ტანად სარო,
 იმ გადამთიელ თათარს
 გაუტაცნია მარო.
 ქარი ქვითინით შლიდა
 მთების ჭაღარა ფაფარს,
 და ბუხრის პირას ბაბუ
 ისევ ყვებოდა ზღაპარს.
 თოვლა და მერე როგორ,
 ოღები გადაბურა,
 ჩალაში ჩაწოლილი
 ძაღლი უყევდა ტურას.

მთვარე მოზრძანდა

მთის კეხზე სხივი აენთო,
 გადმოსკდა შუქი პატარა,
 სოფელში სდუმდნენ ძაღლებიც,
 სდუმდა ჩიტების ნაღარაც,
 ცამ სხივმოსილი თაბახი
 ღიმილით გადმოატარა,
 მთვარე მოზრძანდა სოფელში
 და ვერცხლის ცრემლი დაღვარა.



შამოდგომის სურათი

ეს ქარვით პირამდე ნავსები გოდრები,
 ეს გიშრით პირამდე ნავსები ურმები,
 მიდიან. ჭრიალით, ზარმაცად, ზმორებით,
 ფუტკრების ზუზუნით გიწივის ყურები.
 ეს ღვინის სიმაგრით დაგული ბიჭები
 მარანს გარს უვლიან ბახუსით ნამიანს,
 მღერაიან, თვრებიან პირსავსე ჯამებით,
 მღერაიან: დალიე, დაგილეე ძამია.
 ღვინო კი ჩუხჩუხით იღვრება ჭურებში,
 ჭურები გმინავენ, ქმინავენ, თვრებიან,
 მტყენები, ჩაყრილნი საწნახლის უბეში,
 ცრემლს ღვრიან წუწუნით და შაქრად დნებიან.

სოფლელი ამოხილი

იენისის წვიმა მწვერისფეხა ბალახს ალურჯებს,
 ბიჭი ეზოში ნაწვიმარზე ფრთხილად აბიჯებს,
 მეზობლის ბაღში მოიპარავს მწვანე ალუჩას
 და ჩემს გოგონას ორლობეში მიიპატიჟებს.
 ააგებს წისქვილს, მტრედს მოუყვანს თეთრს და ღულუნას,
 ოღონდ ინატროს მანანამ და რას არ გაუჩენს,
 დაუდგამს ოდას, ლაშის ღელეს გადაუწურავს
 და ღორჯოების აკიდოთი დაასაჩუქრებს.
 გვირგვინს დაუწნავს იებით და იასამნებით,
 გააცნობს სოფლის ყველა მურებს, ყველა ბროლიებს,
 გულს გაუხარებს დაშანთული ჩალამ-კალმებით
 და ჩემს უჩუქრად ფილთა თოფსაც გაასროლიებს.
 გადის ზაფხული — ბედნიერი, ალერსიანი...
 ქარი სიმღერით შემოდგომის ფურცელს გადაშლის...
 დგას ჩემი გოგო ალაგესთან თვალცრემლიანი
 და სოფელელ მძობილს იპატიჟებს დედაქალაქში.



შამოდგომის ლაგე

ცად წასული, ვეებერთელა ჭადრის ძირში ჩამჯდარი,
 ჩემი ოდა იყურება ნისლიანი თვალებით,
 ხრინწიანი ხმით ღიღინებს საწნახელში მაჭარი
 და პარმალზე ტაროს ფშვნაში ჭორაობენ ქალები.
 დაილოცოს ჩახოხბილი, ნენას გაკეთებული...
 რა სიცილი,
 რა სიმღერა,
 რა ცეკვები,
 რა მადა...
 და კედლიდან ჩამოსული ჯიხვით დაფეთებული,
 კედელ-კედელ,
 ღობე-ღობე
 გაპარული თამადა.
 გადაბმული კრიმანჭულით წაღებული ყურები,
 — ნუ იპარავ, მეგობარო!
 — არხეინად იყავი!..
 ალიონზე სუფრის თავში წამოშლილი სტუმრები...
 — ბიჭო, ერთიც დაგელია, მერე წასულიყავით.
 ვხედავ, როგორ მელოდება,
 ვხედავ, როგორ მიღიმის
 ჩემი ოდის საკვამური,
 ჩემი ოდის ყავარი
 და სოფლისკენ მიმავალი დაგრეხილი ბილიკი,
 როგორც ჩემი მთვრალი სტუმრის დაკარგული ქამარი.

ბაგვინვიმღება

მზე გურიიდან აჭარაში გადაიპარა,
 აი, შეხედე,
 სათაფლიას მთაზე მიგორავს.
 მალე სოფელში შევალთ, წიქარა...
 მალე, ნიკორა...
 ციდან ვარსკვლავი არ იყურება,



ქარმა ღრუბლები მთებზე შერეკა,
დათვის ღელეში გაასვენეს ვიღაც ტურებმა,
ალბათ, ბეკეკა.
ცამ მთვარე ახლოს არ გაიკარა,
სულ დაბლა იწევს, თითქოს მძიმდება.
მაღე, ნიკორა,
მაღე, წიქარა,
გაგვიწვიმდება.

* * *

ჩემო ატმებო, გაზაფხულმა როდის დაგმოსათ,
მინდორო, წაბლას რძია-რძია როდის აგემე,
როდის გაიგეთ ქალაქიდან ჩემი ჩამოსვლა,
გზაში წითელი ყაყაჩო რომ შემომაგებეთ.
ბაბუ, ზღაპარი მოამზადე ათასმეერთე,
ბებია, ინჯრა ერთით მეტი ჩამოარიგე,
ჩემო მურიავე, ბილიკზე რომ შემომეფეთე,
ჩემი ჩამოსვლა როგორ გაიგე.
შევდექი გზაზე და სიმღერას დაეუღარაჯე,
ისევ აღმართი,
ისევ ბოლავს ჩვენი კერია,
ჩემი ჩამოსვლა ვინ გახარა, დაო დარეჯან,
კარგი კაბა რომ შეგიკერია.

გაგონდები

სიო რომ ვენახს მოირბენს,
მზე რომ ჩადნება დახრილი,
მობრუნებული სოფლისკენ
ბლავილს მოჰყვება ნახირი.
ეზოში დგახარ ჭადართან,
ხბოს უცდი — თუ დაბრუნდება,
დასავლეთი კი თანდათან



შენს კაბასავით ხუნდება.
მაღლა ჭადარის ფოთლებში
დაღლილი სკვინჩა იძინებს,
ეზოში, სიმარტოვეში,
ღარზე მთის წყალი ღიღინებს.

ცაზე ლაშქარი ვარსკვლავთა
იღვიძებს თითო-ოროლა,
ეზოში დგახარ ჭადართან,
ეაღერსები ბოჩოლას.
ხელებს ჩასჭიდებ ყურებში,
ჭკვიან თვალეში ჩახედავ,
მერე აკოცებ ტუჩებში,
მოღებულ ჭიშკარს დაკეტავ —
და ბოლოს ამოიხრებ,
ნეტავი, რაზე ღონდები,
ალბათ, ბოჩოლას აღერსზე
იმ დამით მე გაგონდები.

მშვიდობით

გაამოს.. კიდევ დალიე ღვინო,
ხანძარი კვალდაკვალ მოსდევს ალიონს,
„დაგვიფარეო, წმინდაო ნინო“ —
ამბობს ბაბა და აბოლებს ყალიონს,
„დალიე კიდევ ჩხავერის ნაწური“...
ხასანბეგურა... სვანური ლილეო...
ბავშვობის ეჭენები მიჰქრიათ ჟღარუნით...
მშვიდობით, სოფელო და სიყმაწვილეო.



ჩემი ბაბუა

თოვლმა დატეხა ჭადარს ტოტები,
 ბელურას ბინა ვერ უპოვია,
 თეთრი ნაბღებით დგანან ტოლები,
 ბახმაროს მთებზე დაუთოვია.
 დადგა კალანდა, დრო თოვლის მოსვლის,
 თოვლის ზეწარი წყარომ გახია,
 ბაბუა ამბობს:
 — ამხელა თოვლი
 ჯერ გურიასი არ მინახია.
 ბუხართან ზის და ყალიონს ქაჩავს,
 დაუთოვია ბაბუას თმაზეც,
 ალბათ, ეს ერთი კალანდა დარჩა
 და შემდეგ წავა მოუსვლელ გზაზე.
 წელი მოღუნა — ასოცი წელი,
 — რა მომკლავს, ბაბა, — ამბობს გლეხურად,
 — ნამდვილ სიცოცხლეს აწი მოველი, —
 და აგუგუნებს „ხასანბეგურას“.
 „ბახმაროს მთებზე დაუთოვია“, —
 მღერის ბაბუა და ელიძება:
 — შენ ქალაქიდან ჩამოდი, შეილო,
 ქვეყნის ამბავი გეცოდინება.
 ვუყვები ისეთ საოცარ ამბებს,
 ბაბუ არაფერს არ ამბობს დიდხანს,
 დაეჭვებული თვალს მიკრავს განგებ
 და მერე კეფას ჩიბუხით იფხანს.
 ბუხარში ჯირკი თვალს აბრიალებს,
 ბალები კვერზე ღადარს ადებენ.
 ბაბუა შამფურს დაატრიალებს,
 ატირდებიან ცეცხლზე მწვადები.
 — თუკი ასეა, რა მომკლავს, ბაბა,
 ადგება, ჩოხის კალთას აკეცავს.
 — ეს სადღეგრძელო იმისი იყოს,
 რამაც სიცოცხლე გამიასკეცა.
 ბახმაროს მთებზე დაუთოვია,
 ბუხარში ცეცხლი ტკბილად ღუღუნებს,
 — ბანიო, — მეტყვის და ბერიკაცი
 მრავალჯამიერს დააგუგუნებს.



ილია

არაგვის ნაპირს, წიწამურთან, აღმა მივდევდი,
 სადაც არაგვი არაგვიანი ასე გიჟია,
 და საქართველოს მატთანე, სავსე დიდებით
 გულის სიღრმეში გადამიშლია.
 იქ, წიწამურთან, მე არაგვის ტალღებმა მითხრეს:
 გქონდა სიცოცხლე და ღიმილი ქვეყნის საყოფი,
 შენ საქართველოს კურთხეული ვაზივით გთხრიდნენ,
 რომ არ ენახათ შენი ნაყოფი.
 ამ კაკლის ჩრდილში მზეს ასწრებდი ცისკარზე ღიმილს,
 ქვეყნის ვარამით გული რარიგ დაგმძიმებია...
 ამას ჩიოდი: „ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი“,
 შენ კი არასდროს არ გძინებია.
 არაგვის პირას საწვიმარი ღრუბელი იწვა,
 ქართლს რომ სცოდნოდა — ხალხი მკერდით დაგიფარავდა.
 მიწა ატირდა, დალოცვილი ქართული მიწა,
 და ლოდი არაგვს ცრემლებს ჰპარავდა.
 ვინ გაგიძეოდა, თვალზე ბინდი ვინ გადაგაკრა,
 მაგ გულისცემა რა მარჯვენას ჩაუკეტია...
 შენ ჩაგასვენეს სამარეში, ილია, მაგრამ
 შენი დიდება სამარეში არ ჩაეტია.
 შემობრუნდება ცხოვრება წაღმა?
 გესმის საფლავში —
 შეილთა ღაღადი!
 ჟამთა ღაღადი!
 ქვათა ღაღადი!
 სანამ არაგვი წიწამურზე არ ავა აღმა,
 შენს ნათელს შუბლზე არ ჩაქრება შუქი მარადი.

